

## იაპონია და ოლიმპიადა

### აზიის პირველი ოლიმპიური მასპინძელი



1964 წელს იაპონიის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონია  
94 ქვეყნიდან ჩამოსული 5 500 ათლეტი ეჯიბრებოდა ერთმანეთს სპორტის 20 სახეობაში  
(ფოტო Photo Kishimoto-სგან)

### შესავალი

1912 წლის სტოკჰოლმის მეხუთე ოლიმპიური თამაშების შემდეგ იაპონია ოლიმპიური თამაშების ერთგული მონაწილეა. მიუხედავად იმისა, რომ 1940 წელს გადაწყდა, რომ ოლიმპიადა ჩატარდებოდა ტოკიოში, ეს გადაწყვეტილება გაუქმებულ იქნა მეორე მსოფლიო ომის გამო. 1964 წლის ზაფხულის ოლიმპიადა ტოკიოში და 1972 წლის ზამთრის ოლიმპიადა საპოროში, პირველი ზამთრის და ზაფხულის საერთაშორისო ოლიმპიადები იყო, რომელიც ჩატარდა აზიაში. 1998 წლის ზამთარში, ნაგანოში ჩატარდა კიდევ ერთი ოლიმპიადა, რაც ოლიმპიური თამაშების ჩატარების რიგით მესამე შემთხვევა იყო იაპონიაში. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა უკვე მეოთხედ შეარჩია იაპონია, როგორც საერთაშორისო თამაშების მასპინძელი ქვეყანა და ტოკიოში 2020 წელს გაიმართება საერთაშორისო ოლიმპიადა, რაც დიდწილად იაპონური ტრანსპორტის მოხერხებულობისა და ქვეყანაში მაღალი საზოგადოებრივი უსაფრთხოების დონის დამსახურებაა, რასაც უდიდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქვეყნის შერჩევას. ტოკიოს რიგით მეორე მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდება 2020 წლის 24 ივლისიდან 9 აგვისტოს ჩათვლით,

ხოლო პარალიმპიური თამაშები გაიმართება იმავე წლის 25 აგვისტოდან 6 სექტემბრის ჩათვლით.

## ისტორია

1911 წელს კანო ჯიგოროს, ძიუდოს ათლეტის, ძალისხმევით შეიქმნა იაპონიის ოლიმპიური კომიტეტი (JOC), ხოლო მომდევნო წელს ორი იაპონელი ათლეტი გაემგზავრა სტოკჰოლმის მეხუთე ოლიმპიადაზე მონაწილეობის მისაღებად. პირველად იაპონია ოლიმპიურ თამაშებში წარმოაჩინა ორმა გრძელ დისტანციაზე მორბენალმა, მიშიმა იაჰიკომ და კანაგური შირომ.

ოლიმპიური თამაშები, რომელიც 1916 წელს უნდა ჩატარებულიყო, პირველი მსოფლიო ომის გამო გაუქმდა. 1920 წლის ანტვერპენის ოლიმპიური თამაშებისთვის იაპონიას 15 კაცისაგან შემდგარი გუნდი ჰყავდა და პირველად მოიპოვა ორი ვერცხლის მედალი ჩოგბურთში.

1928 წლის ამსტერდამის თამაშებზე იაპონიამ მოიპოვა პირველი ოქროს მედალი მძლეოსნობასა და ცურვაში. პირველი ათლეტი ქალი გახლდათ ჰიტომი კინუე, ვინც ჩაირიცხა იაპონიის ოლიმპიურ კონტინენტში. მან მიიღო ვერცხლის მედალი 800 მეტრის დისტანციაზე სირბილში და მისი წარმატებით უამრავი ქალი წახალისდა, რათა მონაწილეობა მიეღოთ სპორტის ამ სახეობაში.

1932 წლის ლოს ანჯელესის თამაშებზე იაპონიამ წარადგინა 131 კაცისაგან შემდგარი შემადგენლობა, რომელთა შორის იყო 16 ქალი. იაპონელმა ათლეტებმა მოიპოვეს 7 ოქროს, იმავე რაოდენობის ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი მძლეოსნობაში, ცურვაში, საცხენოსნო სპორტსა და მინდვრის ჰოკეიში.

1936 წელს ბერლინის თამაშებში იაპონიას თავისი ისტორიის მანძილზე უდიდესი გუნდის შემადგენლობა ჰყავდა: 179 ათლეტი, მათ შორის 17 ქალი. ღონისძიება პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა *ნიჰონ ჰოსო კიოკაის* (NHK-იაპონიის სამაუწყებლო კორპორაცია) რადიოს საშუალებით და გულშემატკივრები რადიოში გვიანობამდე (იაპონიასა და ევროპას შორის დროის სხვაობის გამო) ისმენდნენ ახალ ამბებს სპორტსმენების წარმატებების შესახებ. ბერლინის თამაშებში მონაწილე მოცურავე მავჰატა ჰიდეკო იყო პირველი იაპონელი ქალი, ვინც 200 მეტრზე ბრასით ცურვაში მოიგო ოლიმპიადა.

1936 წლის თებერვალში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) მიერ ქალაქები ტოკიო და საპორო დასახელდა შესაბამისად ზაფხულისა და ზამთრის თამაშების ადგილებად, რომელიც 1940 წელს უნდა ჩატარებულიყო. მოგვიანებით, ტოკიოს ოლიმპიადა გაუქმდა მეორე მსოფლიო ომის მიზეზით, ხოლო 1944 წელს, ლონდონში გასამართი ოლიმპიადაც გადაიდო ისევე ომის გამო, რომელიც მოგვიანებით (1948 წ.) მაინც ჩატარდა.

1948 წლის ლონდონის თამაშებზე იაპონია აღარ მიიწვიეს, თუმცა 1951 წელს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა იაპონიას ხელახლა მისცა მონაწილეობის უფლება და 1952 წლის ჰელსინკის თამაშებში იაპონიიდან 72 ათლეტისგან შემდგარი ჯგუფი გაიგზავნა. 1956 წელს 100 მამაკაცისა და 16 ქალისგან შემდგარი გუნდი მელბურნში გაემგზავრა და ჯამში 19 მედალი მოიპოვეს, მათ შორის, 4 ოქროს მედალი.

1960 წელს იაპონიამ რომის ოლიმპიადაში მიიღო მონაწილეობა. გუნდის შემადგენლობაში შედიოდა 147 მამაკაცი და 20 ქალი. ოლიმპიადის დახურვის ცერემონიაზე 84 მონაწილე ქვეყნის ათლეტებს ხმამაღლა განუცხადეს, რომ მათ 4 წელიწადში ტოკიო უმასპინძლებდათ.

### ტოკიოს ოლიმპიური თამაშები

1952 წელს, როდესაც ომის შემდგომი სამხედრო ოკუპაციის პერიოდი დასრულდა, იაპონიამ 1960 წლისათვის დაგეგმილი მეჩვიდმეტე ოლიმპიური თამაშებში მონაწილეობის მისაღებად საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში (IOC) განაცხადი შეიტანა. განაცხადი ქალაქ რომის სასარგებლოდ გაკეთდა, თუმცა არც იაპონიას ხვდა წილად იმედგაცრუება. 1955 წლის ოქტომბერში, ტოკიოს მეტროპოლიის საკანონმდებლო ორგანომ გადაწყვეტილება მიიღო განაცხადი შეეტანა 1964 წლისათვის XVIII ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად.

მიუნხენში, გერმანიაში გამართულ 55-ე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სხდომას ასევე ესწრებოდა იაპონიის დელეგაცია და ვინაიდან იაპონიას ძალიან სურდა ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლების მოპოვება, ამიტომ აგრესიული კამპანია წამოიწყო და შეეცადა ხმების წართმევას დეტროიტისა და ვენისთვის. საბოლოოდ, 1960 წლის 26 მარტისათვის, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დელეგატებმა საკითხი კენჭისყრაზე გაიტანეს.

1964 წელს იაპონიის მიერ XVIII ოლიმპიადის მასპინძლობას ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ომის შემდგომი სარეკონსტრუქციო პერიოდისათვის, ასევე იაპონიის მაღალი ეკონომიკური ზრდის საჩვენებლად. 1964 წლამდე, 5 წლის განმავლობაში ჩატარებული ოლიმპიადისთვის მოსამზადებელი სამუშაოების შედეგად, შეიცვალა ტოკიოს იერსახე. ქალაქსა და გარეუბნებში მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა. აშენდა ოლიმპიური სოფელი იოიოგი და მასთანვე ახლოს გაიხსნა ახალი სამაუწყებლო ცენტრი (NHK) მიმდინარე მოვლენების გასაშუქებლად. აღსანიშნავია, რომ იაპონიის მიერ ამ ოლიმპიადის მოსამზადებლად და ჩატარებისთვის გაწეული სამუშაოების მთლიანი დანახარჯი აღემატებოდა ქვეყნის მთელი ოლიმპიური ისტორიის განმავლობაში გაწეულ ხარჯებს.

ოლიმპიადასთან დაკავშირებით განხორციელებული პროექტებიდან წარმატებული აღმოჩნდა *შინკანსენის* ექსპრეს მატარებელი, რომელიც მთელს მსოფლიოში მიიჩნევა ყველაზე სწრაფ მატარებლად; ტოკიოსა და ოსაკას შორის მგზავრთა გადაადგილება *შინკანსენის* მატარებლით დაიწყო 1-ელ ოქტომბერს, ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე 9 დღით ადრე.

ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა 94 ეროვნების 5500 მონაწილე. ჩვიდმეტი ეროვნული გუნდი, ძირითადად განვითარებადი ქვეყნებიდან, რომლებიც პირველად მონაწილეობდნენ ოლიმპიურ თამაშებში. 10 ოქტომბერს გამართულ გახსნის ცერემონიას 87.4% სატელევიზიო რეიტინგი ჰქონდა.

როგორც მასპინძელმა ქვეყანამ, იაპონიამ ყველაზე დიდი გუნდის შემადგენლობა წარმოადგინა - 296 მამაკაცი და 61 ქალი. საკუთარი თანამემამულეების მხარდაჭერითა და გულშემატკივრობით გამხნეებულმა იაპონელმა ათლეტებმა სხვადასხვა მედლები მოიპოვეს კრივში, ტანვარჯიშში, ჭიდაობაში, მძლეოსნობაში, ძალოსნობასა და სროლაში. ყველაზე შთამბეჭდავი თამაში შედგა

ქალთა ფრენბურთის დროს, სადაც იაპონიის გუნდმა სძლია საბჭოთა კავშირს და ოქროს მედალი მოიგო.

ასევე ტოკიოს თამაშებზე, ეროვნული სპორტის სახეობა, ძიუდო პირველად მოხვდა ოლიმპიურ დისციპლინებში (მხოლოდ მამაკაცები). იაპონელმა ათლეტებმა ოქროს მედლები მოიპოვეს ყველა წონით კატეგორიაში, გარდა შეუზღუდავი წონითი კატეგორიისა, რომელშიც გამარჯვება წილად ხვდა ჰოლანდიას. ტოკიოს თამაშებზე 47 მსოფლიო და 111 ოლიმპიური რეკორდი დაფიქსირდა. 16 ოქროს მედალი, 5 ვერცხლი და 8 ბრინჯაო მოიპოვეს იაპონელებმა, რაც ყველაზე საუკეთესო შედეგი იყო იაპონიის ოლიმპიურ ისტორიაში. მოპოვებული მედლების საერთო რაოდენობით იაპონია მესამე ადგილზე აღმოჩნდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის შემდეგ.

### იაპონელი ათლეტები და ზაფხულის ოლიმპიადა



**ტანი რიოკო**  
ძიუდოს მოჭიდავე ტანი რიოკომ ოქროს მედალი მოიპოვა 2000 წლის სიდნეის და 2004 წლის ათენის ოლიმპიადებზე. მან 2008 წლის პეკინის თამაშებზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. (ფოტო Photo Kishimoto-სგან)

1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადის შემდეგ იაპონელები განაგრძობენ წარმატებულად ასპარეზობას მამაკაცთა ძიუდოს სახეობაში - ყოველ ოლიმპიურ შეჯიბრში მონაწილეობა ოქროს მედლის მოპოვებით სრულდება. 2004 წლის ათენის ოლიმპიურ თამაშებში ნომურა ტადაჰირომ (მამაკაცების ძიუდო, 60 კგ. წონით კატეგორია), ზედიზედ სამი ოქროს მედალი მოიპოვა. იაპონელმა მამაკაცებმა, ასევე 100 კგ. წონით კატეგორიაში (ყველაზე მძიმე კატეგორია), 2 ოლიმპიადაში მოიპოვეს ოქროს მედალი: სუმუკი კეიჯიმ გამარჯვება მოიპოვა ათენში და იშიი სატომიმ გაიმარჯვა 2008 წლის პეკინის თამაშებში. 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში, ქალთა ძიუდოს დებიუტი შედგა ოლიმპიადაზე და აქაც იაპონელი ქალები ძიუდოს საუკეთესო მოასპარეზეები გახდნენ. ტანი რიოკომ ზედიზედ 5 ოლიმპიადაზე მოიპოვა ოქროს მედალი, ბარსელონას თამაშებიდან პეკინის თამაშებამდე, მათ შორის ზედიზედ ორი 48 კგ. წონით კატეგორიაში გამარჯვება მოიპოვა ათენში.

მამაკაცთა მხატვრული ტანვარჯიშის გუნდმა ზედიზედ 5 ოქროს მედალი მოიპოვა 1976 წლის მონრეალის თამაშებიდან; წარმატებები გაგრძელდა და კვლავ ოქროს მედალი მიიღეს ათენში, შემდეგ კი ვერცხლის მედალი მოიგეს პეკინში. პეკინის თამაშებზე, იაპონელმა ტანმოვარჯიშემ, უჩიმურა კოჰეიმ, მოიპოვა ვერცხლის მედალი მამაკაცთა მხატვრული ტანვარჯიშის ინდივიდუალურ სახეობაში.

მიუნხენის თამაშებში, ცურვის სხვადასხვა სახეობებში, ექვსმა იაპონელმა მოცურავემ მოიგო ოქროს მედალი. 14 წლის ივაშაკი კიოკომ მოიპოვა ოქროს მედალი 200 მეტრზე ბრასით ცურვაში ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებში და იგი ყველაზე ახალგაზრდა ოქროს მედალოსანია ცურვის ამ სახეობაში. კიტაჯიმა კოსუკემ ორი მედალი მოიგო 100 და 200 მეტრის დისტანციაზე მამაკაცთა ბრასით ცურვით შეჯიბრზე ათენსა და პეკინში.

მძლეოსნობის მრავალფეროვან სახეობებში მარათონი იაპონელი ათლეტებისთვის ყოველთვის რამოდენიმე მედალის მოპოვების წყარო იყო. ტაკაჰაში ნაკომ მოიგო ქალთა მარათონი სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე და ნოგუჩი მიძუკიმ, ათენის თამაშებში გამარჯვების შედეგად ოქროს მედალი მოიპოვა. ათენში, მამაკაცებს შორის ბადროს ტყორცნაში, მუროფუში კოჯიმ მოიპოვა ოქროს მედალი, ხოლო ასაკარა ნობუჰარომ თავის გუნდთან ერთად მოიპოვა ბრინჯაოს მედალი მამაკაცთა 400 მეტრიან ესტაფეტურ რბენაში პეკინის ოლიმპიადაზე.

მიუნხენის ოლიმპიური თამაშებიდან იაპონიის გუნდმა ასევე ოქროს მედლები მოიპოვა ბურთით თამაშის სახეობებში, როგორცაა მამაკაცთა ფრენბურთი; ფრენბურთელ ქალთა გუნდმა გამარჯვება მოიპოვა მონრეალში და ქალთა სოფტბოლში (ბეისბოლის მსგავსი გუნდური თამაში) - პეკინში. მამაკაცთა საფეხბურთო გუნდმა ასევე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა 1968 წელს მექსიკის დედაქალაქში გამართულ თამაშებში, სადაც ტურნირის ბომბარდირი გახდა კამამოტო კუნიშიგე.

სპორტის დანარჩენი სახეობებიდან იაპონიამ მოიპოვა ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები პეკინის ოლიმპიადაზე კაცთა ჭიდაობაში, რაც უკვე ზედიზედ მეთოთხმეტე მედალი იყო ჰელსინკის ოლიმპიადის შემდეგ. ქალთა ჭიდაობაში, რომელიც ოფიციალურ სპორტის სახეობად ათენის ოლიმპიადაზე აღიარეს, ქალმა მოჭიდავეებმა, იოშიდა საორიმ და იჩო კაორიმ ზედიზედ ოქროს მედლები მოიპოვეს ათენსა და პეკინში 55 და 63 კილოგრამ წონით კატეგორიაში. იაპონელ მოჭიდავე ქალებს თითქმის ყველა წონით კატეგორიაში აქვთ მოპოვებული მედალი.

## ზამთრის ოლიმპიადა

1928 წელს, სენ მორისში, შვეიცარიაში, ზამთრის ოლიმპიადის მეორე თამაშებში პირველად მიიღო მონაწილეობა იაპონიის გუნდმა. 1936 წელს, გერმანიაში გარმიშ-პატენკირხენის ზამთრის თამაშებში კი მონაწილეობდა იაპონიის გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც პირველად შედიოდა ქალი. ამის შემდგომ იაპონია თითქმის ყველა ზამთრის ოლიმპიადაში იღებდა მონაწილეობას, გარდა 1948 წელს ოსლოში ჩატარებული თამაშებისა. 1956 წელს იგაია ჩიჰარუმ მეორე ადგილი დაიკავა სლალომში კორტინა დ'ამპეცოში, იტალიაში. ეს იყო პირველი მედალი, რომელიც ზამთრის სპორტის ამ სახეობაში მოიპოვა იაპონიამ.

ჰოკაიდოს ქალაქმა, საპორომ, 1972 წლის თებერვალში მოიპოვა მეთერთმეტე ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლება, რომელშიც 35 ქვეყნის 1128 ათლეტი მონაწილეობდა. საპოროს ზამთრის თამაშებში კამაია იუკიომ შეასრულა თხილამურით 70-მეტრიანი ნახტომი, რითაც იაპონიამ მოიპოვა პირველი ოქროს მედალი ზამთრის ოლიმპიადაზე.

## ნაგანოს თამაშები

1998 წლის 7-დან 22 თებერვლამდე ჩატარდა ნაგანოს თამაშები. გარდა ნაგანოს პრეფექტურის დედაქალაქისა, შეჯიბრებებისათვის განკუთვნილი იყო ისეთი ცნობილი ზამთრის კურორტები, როგორცაა: შიგას მითანეთი, ჰაკუბა, კარუიძავა და ნოძავა ონსენი.

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებთან ერთად, ნაგანოში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გენერალური (IOC) ასამბლეის 107-ე შეხვედრა გაიმართა.

ნაგანოში ჩატარდა მეოცე საუკუნის უკანასკნელი ზამთრის ოლიმპიური თამაშები, სადაც შემდეგი ახალი სახეობები დაემატა უკვე არსებულ დისციპლინებს: *სლალომი* და *ჰალფ-პაიპ სნოუბორდი*, ასევე - ქალთა ყინულის ჰოკეი და *კიურლინგი* (მონაწილეობდნენ გუნდები კანადიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ჩინეთიდან, შვედეთიდან და იაპონიიდან). სულ სამოცდათორმეტი ქვეყანიდან 2302 ათლეტი მონაწილეობდა სპორტის 68 სახეობაში.

ნაგანოს თამაშების მიზანი იყო "თანაარსებობა ბუნების სილამაზესთან და მის უმშვენიერეს რესურსებთან ერთად". ამ მიზნის განსახორციელებლად, შესაძლებელი გახდა თავიდან აეცილებინათ მიწის მწვანე საფარის შეცვლა და შესაფერისი ზომები მიეღოთ რესურსების გადასამუშავებლად.

მეშვიდე პარალიმპიურ თამაშებზე 580 ათლეტი მონაწილეობდა 34 დისციპლინაში, რომლებიც წარმოადგენდნენ 32 ქვეყანას. აღნიშნული პარალიმპიადა გაიმართა ნაგანოში 5-დან 14 მარტამდე, ოლიმპიური თამაშების დასრულებისთანავე.

### იაპონელი ათლეტები ზამთრის სპორტის სახეობებში



**ასადა მაო**  
2010 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ქალთა ფიგურულ სრიალში ვანკუვერში მოიპოვა ვერცხლის მედალი (ფოტო Photo Kishimoto-ს გან)

ნაგანოს თამაშებში წარმატებით ასპარეზობდნენ იაპონელი ათლეტები. თხილამურებით ხტომაში ფუნაკი კაძუიშიმ მოიპოვა ოქროს მედალი მაღალი მთიდან ხტომაში, ხოლო იაპონიის მოთხილამურეთა გუნდმა იგივე დისციპლინაში მოიპოვა ოქროს მედალი.

500 მეტრზე მამაკაცებისთვის ციგურებით სრიალი იაპონელი ათლეტებისთვის საჩვენებელი იყო. 1984 წლის სარაევოს ზამთრის ოლიმპიური თამაშების შემდეგ, იაპონიამ ამ სახეობაში 9 მედალი მოიპოვა, მათ შორისაა ნაგანოში მოპოვებული ოქროს მედალი შიმძიუ ჰიროიასუს მიერ, ასევე ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, რომელიც მოიპოვეს ნაგაშიმა კეიჩირომ და კატო ჯიოჯიიმ 2010 წლის ვანკუვერის ოლიმპიურ თამაშებზე.

ქალთა ფიგურულ სრიალში იტო მიდორიმ ვერცხლის მედალი მოიპოვა 1992 წლის ალბერტვილის თამაშებზე და არაკავა შიმძუკამ ოქროს მედალი - 2006 წლის ტორინოს თამაშებზე, ასევე ვანკუვერში ასადა მაომ მოიგო ვერცხლის მედალი და ტაკაჰაში დაისუკემ ბრინჯაოს მედალი მამაკაცთა ფიგურულ სრიალში.

ნორდიკის კომბინირებულ სახეობაში იაპონია ზედიზედ გახდა ოქროს მედლების მფლობელი ალბერტვილში და 1994 წელს ლილექამმერში,

ასევე კონო ტაკანორიმ მოიგო ინდივიდუალური ვერცხლის მედალი 1994 წლის თამაშებზე. ქალთა თავისუფალ თხილამურებით სრიალში სატოია ტაემ მოიპოვა ოქროს მედალი ნაგანოს თამაშებისას და ბრინჯაოს მედალი - 2002 წლის სოლთ ლეიქ სითის ოლიმპიურ თამაშებზე.

## ლონდონის ოლიმპიური თამაშები



უჩიმურა კოჰეი  
ოქროსმედალოსანი მამაკაცთა  
ტანვარჯიშში.

ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე იოშიდა საორიმ მოიპოვა ოქროს მედალი ქალების ჭიდაობაში და გაზარდა თავისი ოქროს მედლების რაოდენობა ზედიზედ მესამე თამაშში მოგებით. მამაკაცთა ინდივიდუალურ ტანვარჯიშში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა უჩიმურა კოჰეიმ მოიგო ოქროს მედალი. მაცუმოტო კაორუმ მოიგო ოქროს მედალი *ძიუდოში*, ხოლო ქალ ფეხბურთელთა გუნდმა, „*ნადეშიკო ჯაპან*“ მოიპოვა ვერცხლის მედალი ფეხბურთში. საბოლოოდ, იაპონიამ მოიპოვა 38 მედალი, მათ შორის 7 ოქრო, 14 ვერცხლი და 17 ბრინჯაოს მედალი.